გიორგი ლაბაძე
სამართალმცოდნეობის ბაკალავრი,
თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის მაგისტრანტი,
აღმასრულებელი მდივანი
(„საქართველო – სამი ზღვის ინიციატივა“)

აშშ-ის საარჩევნო კოლეგიის თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: საარჩევნო კოლეგია, ამერიკული ფედერალიზმი, აშშ-ის პრეზიდენტები, არჩევნები, დამფუძნებელი მამები

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზების თვალსაზრისით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი დოკუმენტია, რომელიც, თითქმის, 250 წლისაა. ამის მიუხედავად, მასში მხოლოდ 27 შესწორებაა შესული. ამის გამო, იგი, გადასინჯვის თვალსაზრისით, მყარი კონსტიტუციების რიცხვს მიეკუთვნება. 1787 წლის კონსტიტუციამ შეძლო და შეინარჩუნა პირველ რედაქციაში არსებული, თავდაპირველი ინსტიტუტების ძირითადი ნაწილი. სწორედ ერთ-ერთი მათგანია შეერთებული შტატების საარჩევნო კოლეგია (Electoral College), რომელიც წმინდა ამერიკული ინსტიტუტია.[1] XVIII საუკუნის ბოლოს შექმნილ დოკუმენტს, დღემდე რომ მსოფლიოს ზესახელმწიფოს ძირითადი კანონია, მრავლად ჰყავს კრიტიკოსი, ვინც კონსტიტუციის შედარებით გათანამედროვებას მოითხოვს. მათი უკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი სწორედ საარჩევნო კოლეგიის სისტემაა.[2]

აშშ-ის დამფუძნებელ მამებს შემთხვევით არ შემოუღიათ ამერიკის კონსტიტუციაში ამგვარი სისტემა. იგი უკავშირდებოდა სახალხო სუვერენიტეტისადმი არსებულ შიშს. ამიტომ, საარჩევნო კოლეგიას, კრიტიკოსებთან ერთად, მხარდამჭერებიც მრავლად შემორჩა. ორივე მხარის პოზიციის უკეთ გამოსაკვლევად, სტატიაში განხილულია

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

როგორც უშუალოდ ფედერალისტებისა და ანტიფედერალისტების შეხედულებები, ასევე, თანამედროვე ავტორებისა თუ ორგანიზაციების მოსაზრებები.

ქართულ ენაზე ამერიკის საარჩევნო კოლეგიის შესახებ სპეციალური სტატია ან სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომი ჯერ არ გამოქვეყნებულა. ამიტომ სავარაუდოა, რომ ნაკლებად არის შესწავლილი მისი წარმოშობისა და ფუნქციონირების ძირითადი მიზნები და მიმართულებები. მიზნად დავისახეთ საარჩევნო კოლეგიის შექმნის მიზნების, მისი ფუნქციონირების მექანიზმისა და იმ მიღწევების ნათელყოფა, რაც ორ ასეულ წელზე მეტია მოაქვს მის აქტივობას.

1. საარჩევნო კოლეგიის არსი

არსებობს დემოკრატიის პირდაპირი და წარმომადგენლობითი ფორმები.[3] წარმომადგენლობითი დემოკრატიის რეალიზების საშუალებაა არჩევნები. სწორედ არჩევნების მეშვეობით, ხალხი უზრუნველყოფს საჯარო ხელისუფლების ორგანოებსა და ცალკეულ თანამდებობებზე სასურველი კანდიდატების მოსვლას.[4] ამერიკული საარჩევნო კოლეგია, თავისი ტიპური მახასიათებლებით, გამორჩეულ და ინდივიდუალურ თავისებურებებს მოიცავს, რაც არჩევნების პროცესს უნიკალურსა და, ხშირად, სადავოსაც კი ხდის.

საარჩევნო კოლეგიის პრინციპი აშშ-ის კონსტიტუციის ჯერ კიდევ თავდაპირველ, 1787 წლის რედაქციაში იყო მოცემული. თუკი დღეისთვის ამ სისტემით მხოლოდ პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევა ხდება, 1913 წელს მიღებული კონსტიტუციის მე-17 შესწორებამდე, სენატორებსაც კოლეგიის საშუალებით ირჩევდნენ.

განსაზღვრების თანახმად, საარჩევნო კოლეგია არის თითოეულ შტატში ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული ამომრჩევლების[5] ჯგუფი პარტიული კუთვნილების მიხედვით. თითოეული შტატის კოლეგიის წევრთა რაოდენობა გათანაბრებულია კონკრეტული შტატის წარ-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

მომადგენელთა საერთო რაოდენობასთან კონგრესში. ეს გულისხმობს ქვედა პალატის წარმომადგენელთათვის (რაც მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულია) სენატის ორი წევრის დამატებას.[6] მაგალითად, თუ აიოვას შტატს წარმომადგენელთა პალატაში ჰყავს ოთხი წევრი, ხოლო სენატში ორი,[7] ამ შტატიდან კოლეგიის წევრთა მთლიანი რაოდენობა იქნება ექვსი. ამ პრინციპს ალექსანდრე ჰამილტონი თავის №68 ფედერალისტურ წერილში ასე განმარტავს: „პრეზიდენტის ამომრჩეველთა რაოდენობა თითოეულ შტატში ტოლი უნდა იყოს იმ რიცხვისა, რამდენი სენატორი და წარმომადგენელიც ჰყავს თითოეულ მათგანს საერთო – ეროვნულ მთავრობაში".[8]

საპრეზიდენტო არჩევნების თანამედროვე სისტემის მიხედვით, აღმასრულებელი შტოს მეთაური ხდება ის, ვინც მოიპოვებს ქვეყნის მასშტაბით არჩეული კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობას. რადგან კოლეგიის წევრთა რაოდენობა კონგრესის წევრების რაოდენობას უთანაბრდება, მათი ჯამური რაოდენობა 535 უნდა იყოს. თუმცა, 1961 წლის 23 მარტს რატიფიცირებული კონსტიტუციის 23-ე შესწორების შედეგად, დედაქალაქ ვაშინგტონს უფლება მიენიჭა აერჩია საარჩევნო კოლეგიის სამი წევრი.[9] აქედან გამომდინარე, საპრეზიდენტო კანდიდატს კოლეგიის 270 წევრის ხმა სჭირდება გასამარჯვებლად. ამჟამად, ამერიკის ყველა შტატში (ნებრასკასა და მენის გარდა) მოქმედებს winner-take-all პრინციპი: პრეზიდენტობის კანდიდატს ენიჭება კოლეგიის ყველა წევრის ხმა, თუკი შტატში ხმების უმრავლესობას მოიპოვებს. მენსა და ნებრასკაში გამარჯვებული პარტიის წევრს გადაეცემა ორი უპირობო ხმა, ხოლო საბოლოო შედეგი ითვლება შტატის შიგნით, საარჩევნო რაიონების დაყოფის მიხედვით.[10]

აშშ-ის კონსტიტუცია კრძალავს კოლეგიის წევრებად ისეთი პირების არჩევას, რომლებიც პარალელურად სენატორები ან შეერთებულ შტატებში რაიმე საპასუხისმგებლო, შემოსავლიანი თანამდებობის მქონე პირები

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

არიან.[11] ასეთი წესი მიკერძოებისა და ინტერესთა კონ-ფლიქტის თავიდან არიდებისთვის არსებობს.

პრეზიდენტის არჩევის სტრუქტურას ფედერალიზმი განსაზღვრავს.[12] იმის მიუხედავად, რომ იგი ეროვნულ დონეზე არჩეული ფიგურაა, რომელიც მთელ ქვეყანას წარმოადგენს, ამომრჩეველთა შერჩევის პრინციპს თითოე-ული შტატის მონაწილეობა განსაზღვრავს.[13] კოლეგიის წევრთა შერჩევის პროცესი შტატების ინტერესთა დასა-ცავად იქნა მიღებული, რათა თითოეულ შტატს ცალ-ცალკე მიეღო მონაწილეობა აღმასრულებელი ორგანოს შერჩევაში.[12]

1787 წლის კონსტიტუციური კონვენტის მსვლელობი-სას, დამფუძნებელი მამები შიშობდნენ, რომ აღმასრულე-ბელი ორგანოს არჩევა შტატების ჩარევის გარეშე მოხდე-ბოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზ-რიც არსებობდა, რომელსაც მოსამართლე ჯეიმს უილსო-ნი (1742-1798) ლობირებდა. იგი ხალხის მიერ პრეზიდენ-ტის პირდაპირი გზით არჩევას ემხრობოდა.[14] მსგავსი პო-ზიცია ჰქონდა დენიელ ქეროლსაც (1730-1796). თუმცა, ეს მოსაზრება თავიდანვე უარყვეს კონსტიტუციური კონვენ-ტის დანარჩენმა წევრებმა.[15]

პრეზიდენტის არჩევნებში შტატების უფრო მეტად მონაწილეობას უჭერდა მხარს ჯონ დიკინსონი (1732-1808). მისი აზრით, პირდაპირი საარჩევნო უფლების დაკანონე-ბის შემთხვევაში, საფრთხე დაემუქრებოდა შტატების და-მოუკიდებელი მთავრობების ზოგად პრინციპს.[16] დამფუძ-ნებელმა მამებმა ასევე თქვეს უარი კონგრესის მიერ პრე-ზიდენტის არჩევაზე, რადგან არ სურდათ, ქვეყნის მეთაუ-რი საკანონმდებლო ორგანოს მსახური (Subservient of Congress) გამხდარიყო და მისი ინტერესები დაეცვა.

2. დამფუძნებელი მამები და სახალხო სუვერენიტეტის შიში

დამფუძნებელი მამები პირდაპირი დემოკრატიის ჩა-მოყალიბებას ერთსულოვნად არ უჭერდნენ მხარს.[17] ისინი

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

XVII საუკუნის ბრიტანული რესპუბლიკანიზმის მემკვიდრეები იყვნენ, რომლებიც მონარქიას, სამხედრო დიქტატურასა და ძალადობრივ მმართველობას ებრძოდნენ. თუმცა სწამდათ, რომ ხელისუფლების წყარო ხალხი უნდა ყოფილიყო, დამოუკიდებლობის დეკლარაციის სულისკვეთებისა და დამფუძნებელთა შორის მისი იდეების პოპულარობის მიუხედავად, მმართველობაში ხალხის პირდაპირ მონაწილეობას მაინც სახიფათოდ მიიჩნევდნენ და აუცილებლად მიაჩნდათ ამგვარი ძალაუფლების შეზღუდვა. ინგლისელი ფილოსოფოსის თომას ჰობსისა (1588-1679) და ფრანგი თეოლოგის ჟან კალვინის (1509-1564) მსგავსად, დამფუძნებელი მამებიც სკეპტიკურად უყურებდნენ ადამიანის ბუნებას და ხალხს „პირადი ინტერესების ატომებს“ უწოდებდნენ.[18] ასეთი მიდგომა სრულიად ბუნებრივი იყო ისეთი პრაქტიკოსი პიროვნებების მხრიდან, რომლებიც ხალხს აკვირდებოდნენ სავაჭრო ადგილებში, საკანონმდებლო დარბაზებში, სასამართლოებსა და ბრძოლის ველზე. ნანახმა ისინი ადამიანთა სისუსტეში დაარწმუნა და სახალხო მმართველობის მიმართ უნდობლობა გაუჩინა.[18] ეს დამოკიდებულება არა მხოლოდ თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც გამოვლინდა სახელისუფლებო ორგანოების კონსტიტუციური მოწესრიგების დროს. წარმომადგენელთა პალატისა და სენატის ფორმირებისას გამოჩნდა დამფუძნებელ მამათა დამოკიდებულება წარმომადგენლობითი დემოკრატიის მიმართ, როდესაც მათ უარი თქვეს მონარქიაზე, არისტოკრატიასა და პირდაპირ დემოკრატიაზე.[19]

კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, ხალხი მხოლოდ წარმომადგენელთა პალატას ირჩევდა, ხოლო ზედა პალატის წევრებს შტატების წარმომადგენლობითი ორგანოები ირჩევდნენ. კონგრესის დაკომპლექტების ამგვარი სისტემა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავდა სწორედ ქვედა პალატაში ხალხის მხარდაჭერით წაქეზებული წარმომადგენლების მღელვარების შეკავებას. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ჯეიმს მედისონის შეხედულება, რომელიც მის 51-ე ფედე-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

რალისტურ წერილშია ჩამოყალიბებული: „როცა ისეთ სახელისუფლებო სისტემას ვაყალიბებთ, რომელიც ადამიანის მიერ ადამიანის მართვას გულისხმობს, მთავარი სირთულე შემდეგში მდგომარეობს: ჯერ ერთი, მმართველს უნდა შეუქმნა იმის გაკონტროლების პირობები, ვისი მართვაც ევალება და ამავე დროს, უნდა აიძულო, საკუთარი თავიც გააკონტროლოს“.[20] ეს ამონარიდი ზუსტად ასახავს დამფუძნებელთა შეხედულებას ძალაუფლების შეკავების აუცილებლობის შესახებ.

ალექსანდრე ჰამილტონი თავისი №68 ფედერალისტური წერილის დასაწყისშივე აღნიშნავს: „წესი, რომლის მიხედვითაც თავის პოსტზე შეერთებული შტატების უმაღლესი თანამდებობის პირი ინიშნება, ალბათ, სისტემის ერთადერთი ნაწილია, რომელიც დაგმობას გადაურჩა. შეიძლება ითქვას, მან ოპონენტთა მცირე მოწონებაც კი დაიმსახურა“.[8] ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ანტიფედერალისტებს საარჩევნო კოლეგიასთან მიმართებაში მაინც და მაინც დიდი დრო არ დაუხარჯავთ.[21] ეს საყოველთაო თანხმობაზე შეიძლება მიუთითებდეს. თუმცა, ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებით, ჰამილტონის სიტყვები უშუალოდ კონსტიტუციური კონვენტის მიუკერძოებელი აღწერა არაა. კერძოდ, 1787 წელს ფილადელფიაში მოწვეულმა კონვენტმა პრეზიდენტის შერჩევის მექანიზმი მრავალი ფაქტორის დაბალანსების შედეგად მიიღო. ეს ფაქტორები იყო დაპირისპირება დიდ და პატარა შტატებს შორის, ნაციონალიზმისა და ფედერალიზმის წინააღმდეგობა (იგულისხმება შტატები და ფედერალური მთავრობა), დაპირისპირება ჩრდილოეთისა და სამხეთის შტატებს შორის და სხვ.[22] აქედან გამომდინარე, როგორც კონსტიტუციის თითოეული პუნქტის შემთხვევაში, აქაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საარჩევნო კოლეგიის სისტემა, დიდწილად, სწორედ კომპრომისებს ემყარებოდა.

თავდაპირველად, პრეზიდენტის არჩევის საკითხი მწვავე დებატებში გადაიზარდა. კონვენტმა ხუთჯერ დაუჭირა მხარი კონგრესის მიერ პრეზიდენტის დანიშვნას, ერთხელ კი ამის საწინააღმდეგოდ წავიდა; ერთხელ მიემ-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ხრო პრეზიდენტის არჩევას შტატის წარმომადგენლების მიერ დანიშნული კოლეგიის წევრების მეშვეობით, ხოლო ორჯერ ამის წინააღმდეგ წავიდა.[23] ჯეიმს მედისონი პირდაპირი არჩევნების წინააღმდეგი დარჩა იმ მოსაზრებით, რომ ხალხი მხარს თავისი შტატის წარმომადგენელს დაუჭერდა, რასაც პატარა შტატების წამგებიან მდგომარეობაში ჩაყენება შეეძლო.[24] ვფიქრობ, საარჩევნო კოლეგიის თავდაპირველი რედაქციის ყველაზე თვალსაჩინო რაციონალიზაციის ნიმუში სწორედ ალექსანდრე ჰამილტონის №68 ფედერალისტური წერილია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის საპასუხოდ, ანტიფედერალისტებმაც არაერთი არგუმენტი გამოაქვეყნეს.

3. ფედერალისტები და ანტიფედერალისტები

ალექსანდრე ჰამილტონის მიერ 68-ე ფედერალისტურ წერილში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებში კარგად ჩანს როგორც მისი, ისე დანარჩენი დამფუძნებელი მამების მიდრეკილება ელიტიზმისკენ.[25] მათ ღრმად სწამდათ, რომ ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურის არჩევისას, საბოლოო გადაწყვეტილება გამოცდილ და გამჭრიახ ადამიანებს უნდა მიეღოთ. ეს მიდგომა კარგად ჩანს ჰამილტონის სიტყვებში: „ასევე სასურველია, პრეზიდენტი უშუალოდ იმ ადამიანებმა აირჩიონ, რომელთაც ყველაზე უფრო ხელეწიფებათ სათანადო თვისებების შერჩევა და მდგომარეობისადმი მისადაგება. მათ უნარი შესწევთ განხილვისთვის ხელშემწყობ გარემოებებში იმოქმედონ და გონივრულად შეუხამონ ერთმანეთს სხვადასხვა მიზეზი და მოტივი, რაც არჩევანის პროცესს მართებულად წარმართავს. რამდენიმე პირი, რომელთაც თანამოქალაქეები მოსახლეობის ფართო ფენებიდან ირჩევენ, უფრო ადვილად მოიძიებენ ცნობებს და გამოიჩენენ სათანადო გამჭრიახობას, რაც ძალზე საჭიროა ესოდენ რთული გამოძიების საწარმოებლად“.[8]

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ჰამილტონი ასევე აღნიშნავს: „განსაკუთრებით უნდა ვესწრაფოდეთ შფოთისა და არეულობის თავიდან აშორებას, რამდენადაც შესაძლებელია. თუმცა, ეს ერთადერთი ბოროტება როდია, რომელსაც უნდა ვუფრთხოდეთ ისეთი თანამდებობის პირის არჩევისას, როგორიც შეერთებული შტატების პრეზიდენტია. ის ხომ ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მართვაში! საბედნიეროდ, შემოთავაზებული სისტემა სიფრთხილის ისეთ ზომებს შეიცავს, რომლებიც მსგავსი საფრთხეებისგან ჩვენი საიმედოდ დაცვის საწინდარია“.[8] გამოდის, რომ საარჩევნო კოლეგიის ფუნქცია არა მხოლოდ სანდო და სიბრძნით გამორჩეული ადამიანების მიერ პრეზიდენტის შერჩევა ყოფილა, არამედ სტაბილურობის გარკვეული გარანტიაც. ამ განმარტებით ნათელია, რომ ალექსანდრე ჰამილტონი იზიარებს ჯეიმს მედისონის სულისკვეთებას იმის თაობაზე, რომ ხალხის ანუ ამომრჩეველის თვითკონტროლი საშინაო სიმშვიდის შენარჩუნებისთვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

გარდა ამისა, აშშ-ის პირველი ფინანსთა მდივანი გახაზავს პოლიტიკოსების შესაძლო არაკეთილსინდისიერ მოქმედებებს და ამბობს, რომ ფედერალისტური პრინციპი არასანდო კანდიდატების გაცხრილვის ეფექტური საშუალებაა: „შეიძლება, მავანს საკმარისი უნარი აღმოაჩნდეს საიმისოდ, რომ მდაბალ ხრიკებს მიმართოს და ინტრიგები ხლართოს. ამ გზით, შესაძლოა, მან პატივიც მოიმკოს და აღზევდეს კიდეც რომელიმე შტატში, მაგრამ საქმე ისაა, მთელი კავშირის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის პატივისცემისა და ნდობის მოსაპოვებლად სხვა ნიჭი და ღირსებებიც რომ აუცილებელია“.[8] სწორედ ამ დადებით ასპექტს გახაზავენ თანამედროვე მკვლევრებიც და თვლიან, რომ კონსტიტუციით დადგენილი კოლეგიის პრინციპი აიძულებს კანდიდატს, ყველა შტატის ამომრჩევლის ინტერესი გაითვალისწინოს და დაარწმუნოს ისინი საკუთარ ღირსებაში.[10]

საკმაოდ ვრცელ სარედაქციო სტატიაში სტივ ფორბსმა (დ. 1947) გახაზა საარჩევნო კოლეგიის განსაკუთრე-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ბული მხარეები. მან ყურადღება გაამახვილა კოლეგიის შემაკავებელ ფაქტორებზე: „ელექტორალური კოლეგიის სისტემატური ტენდენცია, შეარბილოს ეროვნული პოლიტიკის პოტენციურად სახიფათო წახნაგები, აგერ უკვე ორ საუკუნეზე მეტია, საშუალებას გვაძლევს, ისე ვიმსჯელოთ ყველაზე საკამათო საკითხებზე და გადავჭრათ ისინი, რომ ქვეყანა შუაზე არ გავხლიჩოთ და არ მივაყენოთ ისეთი ღრმა ჭრილობები, თაობებს რომ გაჰყვება“.[26] სტივ ფორბსი, მისი ამ მოსაზრების საფუძველზე, ჩვენ მიერ განხილული დამფუძნებელი მამების თანამედროვე წარმომადგენლად გვევლინება კოლეგიის ძირითად პრინციპებთან მიმართებაში.

ალექსანდრე ჰამილტონი, როგორც ნიუ-იორკის შტატის წარმომადგენელი 1787 წლის კონსტიტუციურ კონვენტზე, მხარს უჭერდა სენატისა და წარმომადგენელთა პალატის არაპირდაპირი გზით არჩევასაც. უფრო მეტიც, სენატორებისა და კონგრესმენების დანიშვნა გადარჩევის გარეშე და უვადოდ (ანუ მათი სიცოცხლის ბოლომდე) სურდა.[27]

დამფუძნებელი მამების ელიტიზმისკენ მიდრეკილებაზე საუბრისას, გასათვალისწინებელია აშშ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტისა და მეორე პრეზიდენტის, ჯონ ადამსის (1735-1826) „ფიქრები მმართველობის შესახებ“, სადაც პირდაპირ აღნიშნა თავისი შეხედულება ხელისუფლებაში მყოფ პირებთან დაკავშირებით: „უპირველესი და უმნიშვნელოვანესია ძალაუფლების გადაცემა მრავალთაგან მხოლოდ ძალიან ცოტასთვის, ვინც საზოგადოებისთვის ყველაზე ბრძენი და საიმედოა“.[28] ყოველივე აღნიშნულის განხილვის შედეგად, ვფიქრობ, სიურპრიზს ნამდვილად აღარ უნდა წარმოადგენდეს კონსტიტუციაში მოცემული პირდაპირი მმართველობის შემაკავებელი ფუნქციები.

თუმცა, ანტიფედერალისტებს საარჩევნო კოლეგიის კრიტიკაზე დიდი დრო არ დაუხარჯავთ, სრულიად უკომენტაროდ მაინც არ დაუტოვებიათ. ანტიფედერალისტები უკმაყოფილონი იყვნენ ფედერალისტებით სახელისუფლებო შტოებში, განსაკუთრებით, სენატში დემოკრატიის

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

ნაკლებობისა და არისტოკრატიული ტენდენციების მატების გამო. ანტიფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ არისტოკრატიული ბუნების საზოგადოება დრო და დრო მეტად მკაცრად შერჩევითი ხდებოდა, ხოლო კონსტიტუციის მთავარი მიზანი, ამ პროცესის (არისტოკრატიის დომინირების) შეჩერება უნდა ყოფილიყო.[29]

დამფუძნებელი მამების ზოგიერთი თანამედროვე ანალიტიკოსის მოსაზრებით, კონსტიტუციის ამგვარი განსაზღვრება ეჭვქვეშ აყენებდა ამერიკელი ხალხის უმთავრეს მონაპოვარს – არჩევნების საყოველთაობის პრინციპს და ხელს უწყობდა ძალაუფლების კონცენტრაციას ელიტის ხელში. მაგალითად, ამერიკელი პოეტი ქალის მერსი ოტის უორენის (1728-1814) მოსაზრებით, შეერთებული შტატების სუვერენიტეტი თუ ადამიანისთვის არჩევანის უფლების მისანიჭებლად შეიქმნა, რომელიმე შტატისთვის მხოლოდ ათი ამომრჩევლის ხმით შეზღუდვა და იმავე პროპორციის მიცემა სხვა შტატებისთვის, ხალხის ხმების შეზღუდვის ტოლფასი გამოდიოდა; ეს იყო არჩევანის მხოლოდ ელიტური ხუნტისთვის გადაცემა, რომელსაც ადვილად შეეძლო ერთობლივი ძალით დესპოტური ხელისუფლების მარიონეტის დასმა თოთოეულ შტატში.[30]

არჩევნებში მონაწილეობის უფლების საკითხს ასევე ეჭვქვეშ აყენებს №72-ე ანტიფედერალისტური წერილი, რომელშიც ანონიმური ავტორი აღნიშნავს: „კონსტიტუციის მეორე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი შტოს ხელმძღვანელი პრეზიდენტია, რომლის არჩევაც დიდი კონვენტის მიერ შექმნილი მეთოდით ხდება. ამ მეთოდის მიხედვით, ამომრჩევლები ისეთ ადამიანს ირჩევენ, ვის შესახებაც არაფერი იციან. არადა, არჩეული ადამიანი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი და მრავალი სხვა უფლების მფლობელი ხდება. განა, აუცილებელია, რომ ადამიანის ასეთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი – არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ელექტორების მეშვეობით, ეგზომ უმნიშვნელო გახდეს?“[31] ანტიფედერალისტი ავტორის ამ ციტატაში კარგად ჩანს, რამდენად დაკნინებულია მის თვალში საარჩევნო უფლება ელექტო-

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

რების არსებობის გამო. ამავე წერილში იგი უფრო მეტ სითამამესაც იჩენს და საარჩევნო კოლეგიის ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს: „უშუალოდ ხალხი მიმაჩნია ხელისუფლებად ან მის შტოდ. მხოლოდ მას აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება, შექმნას კანონი და მოითხოვოს მისი აღსრულება; ეს ორი ქმედება ერთი კოლექტიური ორგანოს საშუალებით მოხდება თუ ძალაუფლების გადაცემის გზით. თუ ხალხი ისეთ მმართველს ექვემდებარება, რომელიც უშუალოდ მას არ აურჩევია, ამ შემთხვევაში, იგი არალეგიტიმურ ხელისუფლებას ემორჩილება “.[31]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, საარჩევნო კოლეგიის რეალურ ცხოვრებაში დანერგვა უმტკივნეულო პროცესი სულაც არ ყოფილა. მას წინ უსწრებდა საკმაოდ ხისტი დებატები, რომელიც დღემდე არ შეწყვეტილა.

4. ალ გორიდან ჰილარი კლინტონამდე

საარჩევნო კოლეგიის ყველაზე უარყოფითი ასპექტი ისაა, რომ საერთო ეროვნულ დონეზე მიღებული ხმების უმრავლესობა, შესაძლოა, კანდიდატს ვერ დაეხმაროს საბოლოო გამარჯვებაში. შეერთებული შტატების ისტორიაში ჯერჯერობით მხოლოდ ხუთჯერ მოხდა ფაქტი, როცა ერთმა კანდიდატმა მეორეს ხმათა უმრავლესობით აჯობა, მაგრამ საარჩევნო კოლეგიის გადაწყვეტილების შედეგად, საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა.

2000 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები სწორედ ის გარდამტეხი მომენტი გახდა, როდესაც შესამჩნევად გააქტიურდა საარჩევნო კოლეგიის კრიტიკა.[10] იმ წელს ჯორჯ ბუშ უმცროსმა ქვეყნის მასშტაბით პირდაპირ არჩევნებში კონკურენტზე, თითქმის, ნახევარი მილიონი ხმით ნაკლები მიიღო, თუმცა, დემოკრატიული პარტიის კანდიდატს, ალ გორს, საარჩევნო კოლეგიის ხუთი წევრის ხმით აჯობა. ასეთ პოლიტიკურ შედეგს ვნებათაღელვის გარეშე არ ჩაუვლია და არჩევნების საბოლოო

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

შედეგის დადგენა შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს დაევალა, რომელმაც ბუშს დაუჭირა მხარი ხუთი ხმით ოთხის წინააღმდეგ.

2000 წელი ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მოვლენათა დრამატული განვითარების პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ანალოგიური იყო რიჩარდ ნიქსონისა (1913-1994) და ჯონ კენედის (1917-1963) დაპირისპირების საკმაოდ ურთიერთსაწინააღმდეგო პერიპეტიაც. მრავალრიცხოვანი მოწოდების მიუხედავად, რიჩარდ ნიქსონმა სასამართლოში სარჩელი არ აღძრა ილინოისის შტატის „მოპარული“ ხმების გამო.[32] მისი თქმით, არჩევნების შედეგის გასაჩივრება ქვეყანას გახლეჩდა და ამერიკის იმიჯს დააზიანებდა მსოფლიოს თვალში.[32]

საარჩევნო კოლეგიის ლეგიტიმაცია კიდევ ერთხელ დადგა ეჭვქვეშ 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. დონალდ ტრამპი ისე გახდა პრეზიდენტი, რომ, ლამის, სამი მილიონი ხმით ჩამორჩა ჰილარი კლინტონს.[33] ამ ფაქტმა ხმაურიანი გამოხმაურება ჰპოვა მედიაში. საარჩევნო კოლეგიის სისტემის გადახედვის მოთხოვნა კიდევ ერთხელ დაისვა. „ტრამპმა წესების დაცვით მოიგო“, წერდა გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“, – „თუმცა წესი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ შედეგი პასუხობდეს ამერიკელთა ნებას და ემსახურებოდეს თანამონაწილეობით დემოკრატიას“.[34]

მიუხედავად დიდი აჟიოტაჟისა, არც 2000 და არც 2016 წლის არჩევნების შემდგომ დაწყებულა საარჩევნო სისტემის გადასინჯვის პროცესი, თუნდაც, პროცედურულად. ამის მიზეზი თავად ამერიკელების რეაქცია იყო არჩევნების შედეგებზე. 2000 წლის შედეგიდან გამომდინარე, პოლიტოლოგთა დიდი ნაწილი ბევრად მძაფრ რეაქციას მოელოდა ამერიკელი ხალხისგან.[35] იგივე მოლოდინი იყო 2016 წელსაც. თუმცა, შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტის ოპონენტები მის წინააღმდეგ არ გამოვიდნენ იმ მოსაზრებით, რომ მან არჩევნები არალეგიტიმურად მოიგო. რევანშისთვის ამერიკელი ხალხი 2020 წლის

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

არჩევნებს დაელოდა. კოლეგიის ლეგიტიმურობა არც ამ-ჯერად დამდგარა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ.

საინტერესოა, რა არის ამის მიზეზი. ნუთუ, ამერიკელებს თავიანთი საარჩევნო ხმების დაცვა არ სურთ? საერთოდაც, არის თუ არა შესაძლებელი არსებული სისტემის რამდენადმე შეცვლა?

საქმე ისაა, რომ დონალდ ტრამპმა საპრეზიდენტო კამპანიის დროს საარჩევნო კოლეგიის მონაცემების სწორი ანალიზი გააკეთა და იმ შტატებზე აიღო ორიენტაცია, რომლებშიც გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ისტორიულად სჭარბობს გაცხადებულ პარტიულ ამომრჩევლებს. შედეგად, ტრამპმა მოულოდნელ წარმატებას მიაღწია ისეთ ცვალებად შტატებში (Swing States), როგორებიცაა ვისკონსინი, მიჩიგანი, ჩრდილოეთ კაროლინა, პენსილვანია და სხვ.[36] არსებობენ შტატები, სადაც კანდიდატებს თავიანთი პარტიულობიდან გამომდინარე შეუძლიათ წარმატების მიღწევა, პიროვნული თვისებების მიუხედავად. მაგალითად, დემოკრატიული პარტია უცვლელად იმარჯვებს კალიფორნიის შტატში 1992 წლიდან მოყოლებული,[37] ხოლო რესპუბლიკელებს 1976 წლის შემდგომ არ წაუგიათ ტეხასის შტატში.[38] ამ მიზეზით, კანდიდატები ნაკლებად მიდიან ხოლმე საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად იმ შტატებში, სადაც ოპონენტების გამარჯვების დიდი შანსია ტრადიციულად. სწორედ ამის გათვალისწინებით ჩაატარა თავისი საარჩევნო კამპანია დონალდ ტრამპმა და ამიტომ გამოიყენა გაცილებით მეტი რესურსი ცვალებად შტატებში.[39] შესაბამისად, 2016 წლის არჩევნებში დონალდ ტრამპმა არათუ არალეგიტიმურად მოიპოვა გამარჯვება, არამედ მან ზუსტად და ოსტატურად გამოიყენა საარჩევნო კოლეგიისთვის დამახასიათებელი თავისებურებები: ნაკლები დრო დახარჯა საარჩევნო ხმების მოსაპოვებლად ისეთ მრავალრიცხოვან ოც შტატში (კალიფორნია, ნიუ-იორკი, ილინოისი და მისთ.). სამაგიეროდ, ყურადღება გააააქტიურა და გაიმარჯვა უფრო ნაკლები მოსახლეობის მქონე ოცდაათ შტატში. ასეთი საარ-

ჩევნო კამპანიის ტაქტიკით, დონალდ ტრამპმა ელექტორების რაოდენობაზე მოახდინა გადამწყვეტი გავლენა.

პასუხი კითხვაზე – შესაძლებელია თუ არა კონსტიტუციის გადასინჯვა და საარჩევნო კოლეგიის სისტემის ცვლილება – აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 თავშია მოცემული. ზოგადად, გადასინჯვის მიხედვით, გამოყოფენ მარტივ, რთულ, განსაკუთრებით რთულ და შერეულ მოდელებს.[40] შეერთებული შტატების კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურა შეიძლება ჩაითვალოს რთულ მოდელად, თუ კონსტიტუციაში შესწორების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მას მხარს დაუჭერს ცალკეული შტატების საკანონმდებლო ორგანოების სამი მეოთხედი ან კონგრესის სამი მეოთხედი. ცვლილება შესაძლებელია ერთ-ერთი რომელიმე წესის გამოყენებით.[41] თუკი ისტორიულ-სამართლებრივ გამოცდილებას გადავხედავთ, კონსტიტუციის რატიფიცირებიდან დღემდე 230 წელზე მეტია გასული, მაგრამ მასში მხოლოდ 27 შესწორებაა შეტანილი. ეს აშკარად მიუთითებს მისი გადასინჯვის სირთულეზე. შეერთებულ შტატებში არსებული პოლიტიკური განწყობის გათვალისწინებთ, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ საარჩევნო სისტემის ცვლილებისათვის საკმარისად სოლიდური ერთსულოვნება, ჯერჯერობით, არ ფიქსირდება.[42]

* * *

ამერიკული საპრეზიდენტო არჩევნების ფედერალისტურ ბუნებას მნიშვნელოვანი დადებითი ასპექტები გააჩნია: იგი კანდიდატის მიერ კოალიციის შექმნას ეროვნული მასშტაბით საჭიროებს, რათა განსხვავებული ზომისა თუ სხვა მახასიათებლის მქონე ყოველ შტატს ადეკვატური წარმომადგენლობა ჰქონდეს.[10] იმის გამო, რომ კანდიდატებს გამარჯვებისთვის მასშტაბური კამპანიების ჩატარება სჭირდებათ, საარჩევნო კოლეგიის არსებობა მათ იძულებულს ხდის, კარგად გაეცნონ ადგილობრივ და რეგიონალურ პრობლემებს. სხვა შემთხვევაში, კანდიდატები

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

თავს არ შეიწუხებდნენ ამაზე, მით უფრო, პრობლემურ შტატებში.[26]

ჩვენ მიერ 2016 წლის არჩევნების განხილვამ აჩვენა, რომ იმ შტატების რაოდენობა, სადაც რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა გაიმარჯვა, ათით მეტი იყო დემოკრატებთან შედარებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პირდაპირ არჩევნებში დამარცხება გადაწონა შტატების შედეგებმა. სწორედ ესაა ამერიკული სისტემის გამორჩეულობა საპრეზიდენტო არჩევნებში, რადგან მისი პროპონენტები (მომხრეები) შტატთა შორის ბალანსს ანიჭებენ უპირატესობას, მოქალაქეთა ხმების საერთო რაოდენობასთან შედარებით. როგორც სტივ ფორბსმა სამართლიანად აღნიშნა: „პრეზიდენტის პირდაპირი პოპულარული არჩევა მიწასთან გაასწორებდა ამ პოლიტიკურ ეკოსისტემას, რომელიც უნიკალურადაა მორგებული ამერიკაზე“.[26]

კონკრეტული სამართლებრივი თუ პოლიტიკური სისტემა, შესაძლოა, სრულიად განსხვავებულად მოქმედებდეს სხვადასხვა სახელმწიფოსა და გარემოში. სახალხო სუვერენიტეტის იდეის დაწინაურებასთან ერთად, პირდაპირი არჩევნების სისტემა აბსოლუტურად უალტერნატივო გახდა მსოფლიოს სხვადასხვა დემოკრატიისთვის, მაგრამ შეერთებული შტატების პოლიტიკურ რეალობაში, ჯერჯერობით ვერ შეძლო საკმარისი მხარდაჭერის მოპოვება.

ლიტერატურა ▫ References

1. Polsby, Nelson W. and Aaron Wildavsky (1991), *Contemporary Strategies of American Electoral Politics*, Eighth Edition, New York: A Division of MacMillan, Inc., p. 45.
2. Anderson, Meg (17 November 2016), *Critics Move to Scrap The Electoral College, But It's Not Likely To Work*, NPR.
3. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში (2016), ავტორთა კოლექტივი, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 61.
4. იქვე, გვ. 222.
5. ზოგიერთ შემთხვევაში, სიტყვაში „ამომრჩეველი“ იგულისხმება საარჩევნო კოლეგიის წევრები ანუ „ელექტორები“ და არა –

ქვეყნის მასშტაბით არსებული საარჩევნო უფლების მქონე პირები.
6. აშშ-ის კონსტიტუცია, მუხლი მე-2, ნაწილი I
[იხ.: https://constitutionus.com].
7. იხ.: https://www.govtrack.us/congress/members/IA#representatives
8. ფედერალისტური წერილები (1788), ფედერალისტი №68: ალექსანდრე ჰამილტონი, 12 მარტი, 1788
[იხ.: http://federalistpapers.ge/federali68.php].
9. აშშ-ის კონსტიტუციის 23-ე შესწორება
[იხ.: https://constitutionus.com].
10. Ross, Tara (1 November 2004), *The Electoral College: Enlightened Democracy*, The Heritage Foundation.
11. აშშ-ის კონსტიტუცია, მუხლი მე-2, ნაწილი I
[იხ.: https://constitutionus.com].
12. Muller, Derek T. (1 May 2012), *Invisible Federalism and the Electoral College*, Arizona State Law Journal, Vol. 44, p. 1237.
13. Wechsler, Herbert (April 1954), *The Political Safeguards of Federalism: The Role of the States in the Composition and Selection of the National Government*, Columbia Law Review, Vol. 54, No. 4, pp. 543-560.
14. Riffe, Matt (28 November 2016), *James Wilson, popular sovereignty, and the Electoral College*, Constitution Daily, National Constitution Center.
15. Jensen, Merrill (1958), *The Making of the American Constitution*, Malabar, FL: Robert E. Krieger Publiching Company, p. 107.
16. Farrand, Max (ed.) (1911), *The Records of the Federal Convention of 1787*, Vol. 1.
17. Ibid. p. 3.
18. Bibby, John F. (1992), *Coverning by Consent*, Washington, DC: Congressional Quarterly, Inc., p. 44.
19. Ibid. p. 47.
20. ფედერალისტური წერილები (1788), ფედერალისტი №51: ჯეიმს მედისონი, 6 თებერვალი, 1788
[იხ.: http://federalistpapers.ge/federali68.php]
21. Slonim, Shlomo (June 1986), *The Electoral College at Philadelphia: The Evolution of an Ad Hoc Congress for the Selection of a President*, The Journal of American History, Vol. 73, No. 1, pp. 35-58. Published by: Oxford University Press. DOI: 10.2307/1903605
22. Yoo, John (28 March 2019), *A Defense of the Electoral College in the Time of Trump*, Pepperdine Law Review, Vol. 46: 4, p. 125.
23. Bowen, Cathrine Drinker (1986), *Miracle at Philadelphia: The Story of the Constitutional Convention, May to September 1787*, New York, NY: Back Bay Books, p.189.
24. Ibid. p. 190.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

25. Padover, Saul Kussiel (1960), *The genius of America: Men whose ideas shaped our civilization*, First Edition, McGraw-Hill Book Company, Inc., p. 50.
26. ფორბზი, სტივ (7 აპრილი, 2020), როგორ ვუშველოთ აშშ-ის პოლიტიკას (ედიტორიალი), „ფორბზი“ [იხ.: https://forbes.ge]
27. adover, Saul Kussiel (1960), *The genius of America: Men whose ideas shaped our civilization*, 1st Ed., McGraw-Hill Book Company, Inc., p. 83.
28. Adams, John (27 March–April 1776), *Thoughts on Government*, In: Papers of John Adams, Volume 4. Massachusetts Historical Society founded 1791 [*Source*: http://www.masshist.org].
29. Storing, Herbert J. and Murray Dry (editors) (1985), *The Anti-Federalist: Writings by the Opponents of the Constitution*, Volume 1, The University of Chicago Press, p. 48.
30. შვაიკარტი ლევი, დოქერტი დეივი, ალენი მაიკლ (2014), პატრიოტთა ისტორიის მასალები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 143.
31. *Antifederalist Paper 72: On the Electoral College; On Reeligibility of the President*, By an anonymous writer “REPUBLICUS”, appearing in The Kentucky Gazette on 1 March 1788. In: The Federalist Papers.
32. კაჭარავა ვასილ (2018), დემოკრატიის გაკვეთილები – ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია 1877-2008 წლებში, თბილისი: თბილისის უნ-ტის გამომცემლობა, გვ. 342.
33. Yoo, John (28 March 2019), *A Defense of the Electoral College in the Time of Trump*, Pepperdine Law Review, Vol. 46: 4, p. 101.
34. *Time to End the Electoral College*, Editorial by The Editorial Board, The New York Times, 19 December 2016.
35. Fiorina, Morris P. (18 April 2017), *The 2016 Presidential Election – An Abundance of Controversies*, Hoover Institution, p. 8.
36. Gelman, Andrew and Julia Azari (1 April 2017), *19 Things We Learned from the 2016 Election*, Statistics and Public Policy, Vol. 4, Issue 1.
37. Krishnakumar, Priya, Armand Emamdjomeh, and Maloy Moore (31 October 2016), *After decades of Republican victories, here’s how California became a blue state again*, The Los Angeles Times.
38. Daniel, Annie and Aman Batheja (8 November 2016), *Here’s how Texas voted in every presidential election since 1976*, The Texas Tribune.
39. *Trump again claims he ‘would have won’ popular vote*, BBC News, 21 December 2016.
40. შესავალი საკონსტიტუციო სამართალში (2016), ავტორთა კოლექტივი, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 47.
41. აშშ-ის კონსტიტუცია, მუხლი მე-5 [იხ.: https://constitutionus.com]
42. McLaughlin, Dan (5 April 2019), *What the Electoral College Saves Us From*, National Review.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

George Labadze
BA in Law, MA in American Studies,
Executive Secretary of *Georgia – Three Seas Initiative*

THE US ELECTORAL COLLEGE INSIDE AND OUT

KEYWORDS: Electoral College, American Federalism, US Presidents, Elections, Founding Fathers

While a draft of the United States Constitution was still incomplete, the Electoral College was already formed. From then onward, this institution has been used to elect the President, the highest Executive Branch of the United States, who also acts as head of state and Commander-in-Chief of the armed forces.

The Electoral College is an important institution that guarantees the proper functioning of American Federalism. Albeit, the question has repeatedly been raised as to whether it is a fair system. Such controversies occurred due to the unanticipated results in the presidential elections in 2000 and 2016 when the winning candidates received less popular votes than their opponents. As a result of the oddity of the Electoral College, the candidates who received more votes from the citizens have lost.

At first glance, the electoral college might leave a false impression of an undemocratic system, which is a kind of challenge to the principle of popular sovereignty. Nevertheless, this system takes into account important elements such as the principle of federalism and equal political participation of states in the election.

The current article is the first research of this institution in the Georgian language, and mainly intends to give a basic idea about the topic. Due to its unique nature, the Electoral College definitely

BRAMS Journal No. 3 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 3/4 ISSN 2960-9348 (online)

deserves more attention from Georgian scholars. In fact, both electoral law and public policy are equally involved in studying the Electoral College in the United States.

The article also highlights the opinion of the founding fathers about democracy as a political system and thoughts on the need to restrain people from making emotional decisions. Such prominent representatives of the intellectual elite of their time as the founding fathers were sceptical at the idea of handing power to the uncontrollable masses. Therefore, they tried to develop an effective controlling mechanism at the very dawn of the Republic. In all honesty, the Electoral College is a result of their lack of trust in the ability of the American people to make the right decision.

Time has proved the system effective when the creation of the founding fathers withstood political turmoil and gave the United States an opportunity to participate in the decision-making process to such an extent that the anti-union movement never reached dangerous scales – except in 1961-1964. The political and legal logic suggests that a landslide surprise can hardly be expected in the near future.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)